EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ოქტომბერი - დეკემბერი 2022

ცვლილებები სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალში

2022 წლის 28 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის განახლებული დადგენილება სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ.

- დადგენილების წინა რედაქციასთან შედარებით, გაფართოვდა და დაკონკრეტდა იმ დარგების სია, რომლებშიც წარმოების/სამუშაო პროცესი საჭიროებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 28/12/2022.

ცვლილებები შრომის კოდექსში

2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა კანონი შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

- შეიცვალა ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებაზე გასაცემი დახმარების ოდენობა.
- ცვლილების მიხედვით, ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ჯამური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
- კანონი ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 27/12/2022.

ცვლილებები საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში

2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა ცვლილებები საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში.

- შეიცვალა საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნის წესი და ოდენობა.
- უფლების მფლობელმა დავის დაწყებამდე უნდა მიმართოს დამრღვევს ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით, ხოლო დამრღვევს უფლება აქვს, აღნიშნული მოთხოვნა მიღებიდან 2 კვირის ვადაში დააკმაყოფილოს.

- ცვლილებების მიხედვით, ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია უნდა იყოს უფლების მფლობელის მიერ დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში მისაღებ ფულად ანაზღაურებაზე 10%-ით მეტი.
- კომპენსაციის გადახდისთვის განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, უფლების მფლობელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს.
- ახალი კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 27/12/2022.

ცვლილებები იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ კანონში

2022 წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნდა კანონი იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ.

- კანონი აწესრიგებს იპოთეკით დაცული ობლიგაციების („იპოთეკური ობლიგაციების“) ემისიასთან, ემიტენტების ზედამხედველობასა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.
- კანონის მიღებით საქართველოში შეიქმნა იპოთეკური ობლიგაციების მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება აღნიშნული ტიპის ფასიანი ქაღალდების გამოშვება რეზიდენტი კომერციული ბანკების მიერ.
- კანონის მიხედვით, იპოთეკური ობლიგაციების მსურველი კომერციული ბანკი ვალდებულია, შესაბამისი ავტორიზაცია მოიპოვოს საქართველოს ეროვნული ბანკისგან.
- კანონი სრულად ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 16/12/2022.

ცვლილებები დაზღვევის შესახებ კანონში

2022 წლის 6 დეკემბერს გამოქვეყნდა დაზღვევის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი.

- კანონპროექტი აწესრიგებს მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის, აუდიტის კომიტეტის შექმნისა და ხელმძღვანელ ორგანოსთან დაკავშირებულ საკითხებს.
- კანონპროექტი მზღვეველს, გადახდისუუნარობისა და ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის მიზნით, ავალდებულებს აქტუარის ყოლას, რომლის საქმიანობა მოიცავს ნაკისრი ვალდებულებების ანალიზსა და რისკების მართვის ეფექტურობის შეფასებას.
- ფართოვდება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის („სამსახური“) ვალდებულებები სავალდებულო დაზღვევის ჭრილში.
- სამსახურს ენიჭება უფლებამოსილება, დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მზღვეველის და სადაზღვევო ბროკერის ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემებისა და ინტერნეტით სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვის/მომსახურების გაწევის მიმართ.
- კანონპროექტის მიხედვით, ლიცენზირებულმა მზღვეველებმა საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა ორ ეტაპად - 2024 წლის 1 იანვრამდე და 2025 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყონ.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 06/12/2022.

ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში

დაზღვევის შესახებ კანონში ცვლილებების პაკეტის ფარგლებში, 2022 წლის 6 დეკემბერს გამოქვეყნდა კანონპროექტი სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შესახებ.

- კანონპროექტი მიზნად ისახავს მზღვეველის მიერ სადაზღვევო პროდუქტის ინტერნეტით გაყიდვის დარეგულირებასა და სადაზღვევო მოწმობის დაცულობის ხარისხის ზრდას.

- კანონპროექტის თანახმად, მზღვეველის მიერ გაცემული ელექტრონული საბუთი უნდა დამოწმდეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით.
- მიღების შემთხვევაში, კანონპროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 06/12/2022.

ცვლილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონში

2022 წლის 16 ნოემბერს საქართველოს მთავრობის ინიციატივით, პარლამენტს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი წარედგინა.

- კანონპროექტი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშვალდებულებისა და მათზე სახელმწიფო კონტროლის საკითხებს.
- რეგულირების სფეროდან გამოირიცხება, მათ შორის, სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი, პოლიტიკური პარტიები, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია და რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები.
- კანონპროექტი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ექვს კატეგორიად ჰყოფს: საჯარო სამართლის კორპორაცია, დამოუკიდებელი, დარგთაშორისი, დარგობრივი, მომსახურების მიმწოდებელი და საზოგადოებრივი საჯარო სამართლის იურიდიული პირები.
- კანონპროექტი აწესრიგებს თითოეული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და დასაქმებულ პირთა სტატუსს.
- კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ცვლილებები შევა 67 კანონში.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 16/11/2022.

ღია ბანკინგში ჩართვის წესი

2022 წლის 8 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ღია ბანკინგში ჩართვის წესის პროექტი გამოაქვეყნა.

- პროექტის მიზანია, მოაწესრიგოს ღია ბანკინგში ჩართვის პროცესი საბროკერო კომპანიების, მიკრო საფინანსო ორგანიზაციების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, სესხის გამცემი და სხვა სუბიექტებისთვის.
- ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ღია ბანკინგით შესაძლებელია სხვადასხვა სუბიექტებს შორის ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცვლა.
- პროექტი ადგენს ღია ბანკინგში ჩართვის კრიტერიუმებსა და ჩართული სუბიექტების ვალდებულებებს.
- სუბიექტის ღია ბანკინგში ჩართვის/თანხმობის გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეროვნული ბანკი.
- პროექტის მიღების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს და თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს ღია ბანკინგის რეესტრს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი. 08/11/2022.

სამუშაო დროის აღრიცხვის განახლებული ფორმა

2022 წლის 8 ნოემბერს ცვლილებები შევიდა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმასა და მისი წარმოების წესში.

- განახლდა და ტექნიკური ცვლილებები შევიდა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმაში.
- თუ თითოეული დასაქმებულის სამსახურში გამოცხადება ინდივიდუალურად, ელექტრონულად აღირიცხება, დამსაქმებელს აქვს უფლება, სამუშაო დროის აღრიცხვა აწარმოოს ბრძანებით დამტკიცებული

ფორმისგან განსხვავებულად. აღნიშნულ შემთხვევაში, ფორმა სრულად უნდა შეიცავდეს ბრძანებით განსაზღვრულ მონაცემებს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 08/11/2022.

ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში

2022 წლის 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები მიიღო.

- განსხვავებულად ჩამოყალიბდა გარემოებები, რომლის არსებობის შემთხვევაშიც პირს შეუძლია, გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ესენია, წერა-კითხვის არცოდნა, ხანგრძლივი ან შეუქცევი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევა.
- წერა-კითხვის მცოდნე უსინათლო პირს ექნება შესაძლებლობა, გარიგებას ხელი მოაწეროს თავად, ან სხვას მიანდოს ხელმოწერის უფლებამოსილება.
- ზემოაღნიშნული ხელმოწერა შესაძლებელია მექანიკური ხელმოწერის, ფაქსიმილეს ან კანონით დადგენილი სხვა სათანადო ტექნიკური საშუალებით. ბრაილის შრიფტის გამოყენებით ხელმოწერისას, ბრტყელი შრიფტით დადებულ გარიგებას ასევე უნდა დაერთოს ბრაილის შრიფტის გამოყენებით დადებული გარიგება.
- ცვლილებები ძალაში 2023 წლის 1 მაისიდან შევა.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 11/11/2022.

კომერციული ბანკების ლიცენზირების განახლებული მოთხოვნები

2022 წლის 31 ოქტომბერს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების ლიცენზირების შესახებ ახალი ბრძანება მიიღო.

- საბანკო ლიცენზიის მაძიებელი, რომელიც ეროვნული ბანკისთვის მიმართვისას კომერციულ საქმიანობას ახორციელებდა, ვალდებული იქნება, საბანკო ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, მათ შორის, ბიზნეს გეგმა, დეტალური ინფორმაცია წარსული საქმიანობისა და კომპანიის სტრუქტურული მოწყობის შესახებ.
- ლიცენზირებისთვის საჭირო მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების დროებითი გამარტივების გზით, ეროვნული ბანკი გასცემს პირობით ლიცენზიას.
- პირობითი ლიცენზიის გაცემისას, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, განსაზღვროს შესაბამისი შეზღუდვები, მოთხოვნები, მათი დაკმაყოფილების ეტაპები და ვადები.
- ბრძანება ძალაშია 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 01/11/2022.

კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის განახლებული კრიტერიუმები

2022 წლის 31 ოქტომბერს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ განახლებული დებულება მიიღო.

- დებულება ადმინისტრატორებს განუსაზღვრავს ზოგად ვალდებულებებს, როგორიცაა კეთილსინდისიერება, ბანკის სტაბილურობის ინტერესების დაცვა, კანონიერება, ზრუნვა და სხვა.
- ადმინისტრატორთა შესაფერისობის შეფასებისას, კომერციული ბანკი და ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობენ პროპორციულობის პრინციპით, მხედველობაში იღებენ ბანკის ზომას, შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურას, რისკის პროფილსა და კომპლექსურობას.

- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, კომერციული ბანკის მიერ დებულების შეუსრულებლობისას ბანკის ან/და მისი ადმინისტრატორების მიმართ გამოიყენოს საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია ფულადი ჯარიმის სახით.
- კომერციულმა ბანკმა და არსებულმა ადმინისტრატორებმა დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი სათანადო ინფორმაცია/დოკუმენტები ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინონ 2023 წლის 1 აგვისტომდე.
- დებულება ამოქმედდა 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 01/11/2022.

კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის განახლებული მოთხოვნები

2022 წლის 31 ოქტომბერს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ახალი დებულება მიიღო.

- დებულება განსაზღვრავს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელის/შემძენის შესაფერისობის კრიტერიუმებს, ეროვნული ბანკისათვის წარსადგენ ინფორმაციასა და შეფასების წესს.
- მნიშვნელოვანი წილის შეძენა გულისხმობს როგორც კომერციული ბანკის წილის შეძენას, ისე მფლობელობაში უკვე არსებული წილის გაზრდას განსაზღვრული ოდენობით.
- დებულების თანახმად, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენით, პირი მნიშვნელოვან გავლენას მოიპოვებს ბანკზე.
- დებულება დეტალურად განსაზღვრავს მნიშვნელოვანი გავლენის არსებობის შემთხვევებს.
- დებულება ადგენს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენას გამარტივებული წესით.
- დებულება ძალაშია 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 01/11/2022.

კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო ღია სტანდარტები

2022 წლის 24 ოქტომბერს ეროვნულმა ბანკმა კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო ღია სტანდარტების შესახებ ახალი დებულება მიიღო.

- დებულება განსაზღვრავს საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, გადამხდელსა და მიმღებს შორის კომუნიკაციის ერთიან და უსაფრთხო ღია სტანდარტებს.
- დებულების მიზანია, საგადახდო მომსახურებისას უზრუნველყოს ეფექტური და უსაფრთხო კომუნიკაცია, ხელი შეუწყოს ინოვაციური პროდუქტების განვითარებას და შექმნას კონფიდენციალობისა და მთლიანობის დაცული გარემო.
- დებულების მიხედვით, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია, გადახდის ოპერაციისას უზრუნველყოს მომხმარებლის უსაფრთხო იდენტიფიკაცია და არ დაუშვას არაუფლებამოსილ პირთა წვდომა.
- დებულება განსაზღვრავს მოთხოვნებს საგადახდო წვდომის ინტერფეისის (მაგ: ინტერნეტ ბანკი, ფეიბოქსი) მიმართ.
- დებულების თანახმად, საგადახდო ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ყოველ ეტაპზე უნდა იყოს მიკვლევადი.
- დებულება ძალაშია 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 25/10/2022.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოყენება

2022 წლის 24 ოქტომბერს გამოქვეყნდა საკანონმდებლო ცვლილებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ("ECtHR") გადაწყვეტილებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

- ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლება, გაითვალისწინოს მის წინაშე არსებული სადავო საკითხის მსგავს სამართლებრივ საკითხზე ECtHR-ის გადაწყვეტილებები.
- კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაბუთებისას, შესაძლებელი იქნება ECtHR-ის პრეცედენტების მოშველიება.
- სასამართლო დოკუმენტებში შეიძლება, მიეთითოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და მისი დამატებითი ოქმების ნორმებზე, ასევე მსგავს სამართლებრივ საკითხზე ECtHR-ის პრეცედენტებზე.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ამიერიდან აწარმოებს ECtHR-ის მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების რეესტრს.
- ECtHR-ის გადაწყვეტილებები/განჩინებები ითარგმნება და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნდება.
- საკანონმდებლო ცვლილებები სრულად ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; 24/10/2022.
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

ცვლილებები დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონში

2022 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი წარადგინა.

- ფართოვდება დასაქმებულის განმარტება და მოიცავს ისეთ პირებსაც, რომელთა დამსაქმებლები არ არიან ვალდებულნი, შეასრულონ საგადასახადო აგენტის ფუნქცია.
- ასეთ შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია, დასაბეგრი ხელფასის 4%-ის ოდენობით საპენსიო შენატანი განახორციელოს თავად, ხოლო დამსაქმებელი ვალდებულია ხელფასის გადახდისას აანაზღაუროს საპენსიო შენატანი დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით.
- საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის განისაზღვრება ხელფასის გაცემიდან 5 სამუშაო დღე.
- დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ ნებისმიერ დასაქმებულს/თვითდასაქმებულს ექნება უფლება, საპენსიო აქტივები სამართავად გადასცეს აქტივების მმართველ კომპანიას.
- საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევისთვის დაჯარიმებული პირი არ გათავისუფლდება საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან.
- მიღების შემთხვევაში, კანონი ამოქმედდება ეტაპობრივად და სრულად ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან.
- ცვლილებების პროექტზე პირველი მოსმენა ჯერ არ ჩატარებულა.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 10/10/2022.

ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ კანონპროექტი

2022 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ კანონპროექტი წარადგინა.

- კანონპროექტის მიზანია, საქართველოში ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრის განვითარება და ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულების შესრულება.
- კანონპროექტი აწესრიგებს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების სახეებს, მათი ორგანიზებისა და განხორციელების საკითხებს და განსაზღვრავს ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემაში მონაწილეობის წესებსა და პირობებს.
- საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს არ შეეძლებათ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განხორციელება შესაბამისი ნებართვის/რეგისტრაციის/ლიცენზიის გარეშე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.
- მიღების შემთხვევაში, კანონპროექტი სრულად ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.](#) 10/10/2022.

სეკიურიტიზაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო

2022 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ პარლამენტს სეკიურიტიზაციის მარეგულირებელი კანონპროექტი წარუდგინა.

- სეკიურიტიზაცია გულისხმობს გარიგებას ან გარიგებათა ერთობლიობას, რომლის საფუძველზეც სეკიურიტიზაციის განმახორციელებელი იურიდიული პირი იღებს საბაზისო აქტივებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს აღნიშნული აქტივების შეძენით ან სხვაგვარად (მათ შორის, დერივატივების დადებით) და უშვებს სეკიურიტიზაციის ინსტრუმენტებს.
- სეკიურიტიზაციის ინსტრუმენტი შეიძლება იყოს სასესხო ფასიანი ქაღალდი, სეკიურიტიზაციის ფონდის ერთეული (პაი), სეკიურიტიზაციის კომპანიის აქცია/წილი, ან სესხის აღება.
- კანონპროექტი აწესრიგებს სეკიურიტიზაციის გარიგებასთან, მხარეებთან და გარიგების შედეგად გამოშვებულ სეკიურიტიზაციის ინსტრუმენტთან დაკავშირებულ სამართლებრივ და ფინანსურ საკითხებს.
- სეკიურიტიზაციის გარიგებისა და შესაბამისი სუბიექტების ზედამხედველობას ახორციელებს ეროვნული ბანკი.
- მიღების შემთხვევაში, კანონპროექტი ძალაში შევა გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.
- ცვლილებების პროექტზე პირველი მოსმენა ჯერ არ ჩატარებულა.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.](#) 10/10/2022.

ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესი

2022 წლის 3 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესი.

- წესის მიზანია ყალბი ან/და საეჭვო ფულის ნიშნების დაუყოვნებლივ მიმოქცევიდან ამოღება და საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის გავრცელების შეზღუდვა.
- გამოვლენილი ყალბი ფული არ ანაზღაურდება და არ ექვემდებარება დაბრუნებას.
- განისაზღვრა საფინანსო და არასაფინანსო სექტორის წარმომადგენლებისთვის ვალდებულებები ყალბი ან/და საეჭვო ფულის ნიშნის გამოვლენისას.
- წესის მეშვეობით, გამოვლენილ ყალბი ფულის ნიშნებთან დაკავშირებით დადგინდა ექსპერტიზის ჩატარების, სისტემატიზაციის, აღრიცხვის, შენახვისა და განადგურების ვალდებულებები.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.](#) 03/10/2022.

განისაზღვრა ცალკეული სუბიექტების მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადასახადის განაკვეთი

- 2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი.
- ცვლილებებით, მათ შორის, განისაზღვრა ცალკეული სუბიექტების მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და მოგების გადასახადის განაკვეთი.
- საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის შემთხვევაში გაუქმდა ნორმა 2023 წლიდან მოგების გადასახადის ე.წ. ესტონურ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღნიშნული სუბიექტების მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად დარჩა სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. ამასთან, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა 20%-ით.
- გარდა ამისა, დასახელებული სუბიექტების მიერ 2023 წლისა და შემდგომი პერიოდების კუთვნილი მოგებიდან გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.
- რაც შეეხება სადაზღვევო ორგანიზაციას, აღნიშნული სუბიექტის მოგების გადასახადის ე.წ. ესტონურ მოდელზე გადასვლა 1 წლით გადავადდა. კერძოდ, 2024 წლის 1 იანვრამდე მისი მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. 2024 წლის 1 იანვრიდან კი სადაზღვევო ორგანიზაცია მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით დაიბეგრება.
- ცვლილებები ამოქმედდა 2023 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.](#) 27/12/2022.

ცვლილებები ფინანსური ინსტიტუტების მიერ ინფორმაციის ავტომატურ გაცვლაზე

- 2022 წლის 15 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი.
- ცვლილებებით საგადასახადო კოდექსს დაემატა ახალი მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტების მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის დადგენილ საგადასახადო პასუხისმგებლობას.
- ცვლილებები შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით.
- ცვლილებების შედეგად, საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებს ეკისრება ვალდებულება, აწარმოონ ანგარიშგების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი სათანადო პროცედურები და ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შემოსავლების სამსახურს.
- შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ინფორმაცია გადასცეს უცხო ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს და განახორციელოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშგების საერთო სტანდარტთან (CRS) დაკავშირებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება და კონტროლი.
- ცვლილებები სრულად ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 15/12/2022.

ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

- 2022 წლის 13 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი.

- ცვლილებებით განისაზღვრა საგადასახადო პასუხისმგებლობა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევისთვის: სამეწარმეო საქმიანობისთვის რეფერენტული (ზღვრული) ფასისადმი დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მიერ სასაქონლო ზედნადების მოთხოვნისას მისი გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა.

- აღნიშნული საგადასახადო სამართალდარღვევისთვის განისაზღვრა ჯარიმები შემდეგი ოდენობით:

  - ქმედების პირველად ჩადენა - 1,000 ლარი;
  - ქმედების განმეორებით ჩადენა - 15,000 ლარი;
  - ქმედების მესამედ და ყოველი მომდევნო ჩადენა - 30,000 ლარი.

- საგადასახადო სამართალდარღვევების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება ექნება, გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება, მოსთხოვოს მას პირადობის დამადასტურებელი საბუთი და სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები. მას ასევე ექნება უფლება, ვიზუალურად დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალება, დაითვალოს საქონელი, დაადგინოს შესაბამისობა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დააფიქსიროს აღნიშნული პროცედურები.

- ცვლილებები ამოქმედდება 2023 წლის 15 მარტიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 13/01/2022.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტატო ჩანტლაძე
პარტნიორი | საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა
შპს „იუაი“
კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი
ტელ: +995 (32) 215-88-11
Tato.Chantladze@ge.ey.com

EY | Building a better working world

EY არსებობს გამართულად მომუშავე სამყაროს შესაქმნელად. ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, ჩვენს თანამშრომლებს და საზოგადოებას გრძელვადიანი დოვლათის შექმნაში და ვზრდით კაპიტალის ბაზრების სანდოობას.

150-ზე მეტ ქვეყანაში EY-ის გუნდის წევრები უახლეს ტექნოლოგიებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას რწმუნების გაცემის გზით და ეხმარებიან კლიენტებს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში, გარდაქმნასა და ეფექტურად წარმართვაში.

EY-ის აუდიტის, საკონსულტაციო, საგადასახადო, იურიდიული, სტრატეგიისა და გარიგებების მომსახურებების სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდები სვამენ სწორ კითხვებს, რაც მათ დღევანდელობის კომპლექსურ გამოწვევებთან დაკავშირებით სწორი პასუხების პოვნაში ეხმარება.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2023 შპს „იუაი“

ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს შეჯამებული სახის ინფორმაციას და ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადად სახელმძღვანელოდ. ის ვერ გასწევს დეტალური კვლევის ან პროფესიული დასკვნის მაგივრობას. ვერც EYGM ლიმიტედ და ვერც EY-ის გლობალური ორგანიზაციის რომელიმე წევრი ვერ იკისრებს წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალის გამო რომელიმე პირის რამე ქმედების ან მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავების შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასურველია კონსულტაციის მიღება შესაბამისი სპეციალისტისგან.

http://www.ey.com/georgia